

**საპრეზიდენტო პორტფელის მართვის
მინისტრის საბანკო სისტემის ნორმატული
ფუნქციების საშემახი**

მარა ალადაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

საბანკო სისტემის ნორმატური ფუნქციონირების უზრუნველ-
საყოფად და მისი სტაბილური განვითარებისათვის ძალზედ მნიშვ-
ნელოვანია სხვადასხვა ტიპის საკრედიტო რისკების გათვალისწი-
ნება მის საქმიანობაში.

საკრედიტო რისკი, ანუ იმის საშიშროება, რომ დებიტორს არ
შეუძლია განახორციელოს კრედიტის ძირითადი ნაწილის და სარ-
გებელის თავისდროული გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწი-
ნებული პირობების თანახმად, არის ბანკის საქმიანობის განუყო-
ფელი ნაწილი.

პრობლემური პორტფელის ანუ ვადაგადაცილებული სესხების
პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად შეიძლება გადაიქ-
ცეს მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ჩვამომდინა-
რე იქიდან, რომ ბანკში მიმდინარე ყველა პროცესი ერთმანეთთან
ჯაჭვური პრინციპით არის დაკავშირებული, თითოეული მათგანის
უმნიშვნელო ცვლილებაც კი შეიძლება დიდი უარყოფითი ძვრები-
სა და შედეგების მომტანი აღმოჩნდეს კონკრეტულად რომელიმე
ბანკის და შესაბამისად, მთელი საბანკო სისტემის საქმიანობა-
ში. აქედან გამომდინარე, პრობლემური სესხების პრობლემა და
კლიენტების მიერ ხელშეკრულების პირობებისა და ვალდებულე-
ბების შეუსრულებლობა, შესაბამისად გამოიწვევს ბანკის ვალდე-
ბულებების შეუსრულებლობას, მისი ნდობის დაკარგვას, ლიკვი-
დობის პრობლემას და ასე შემდეგ, რომელსაც შესაძლოა ბანკის
გაკოტრებაც მოჰყვეს. ზემოაღნიშნულ პრობლემას, ისევე, რო-
გორც ყველა სხვა შემთხვევებში, შეიძლება რამდენიმე მიზეზი და
საფუძველი გააჩნდეს.

დიდი ოცეულის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე, საერთა-
შორისო სავალუტო ფონდის განცხადების თანახმად, განვითარე-
ბულ ქვეყნებში, აქტუალობას ინარჩუნებს ეკონომიკის დაცვის

რისკები, განვითარებად ქვეყნებში კი მათ უმთავრეს საზრუნავს გადახურების რისკები წარმოადგენს.

„დისტალანსს კიდევ უფრო ამწვავებს საერთაშორისო ინვესტორების მიერ, არჩევანის მზარდი ეკონომიკის სასარგებლოდ გაკეთება და განვითარებადი ქვეყნების მიმართულებით კაპიტალის მასობრივი გადინება. კპაპიტალის სპეციალური დინება საფრთხეს უქმნის მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას, რადგან ის ხელს უწყობს კრედიტების ჭარბ ზრდას და ადგილობრივად ფასების ბუშტის წარმოქმნას“¹¹.

სწორედ რომ დიდი რაოდენობით შემოსულმა, ბანკებში დაბანდებულმა უცხოურმა ინვესტიციებმა გამოიწვია ქართული ბანკების კიდევ ერთი პრობლემა, რაც დაკრედიტების და სესხების დამტკიცების გამარტივებულ პირობებს უკავშირდება და რამაც, არანაკლები პრობლემები შეუქმნა საბანკო სისტემას.

დაკრედიტების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სესხებს ახასიათებს მიზნობრივობა, დაბრუნებადობა, ვადიანობა და უზრუნველყოფადობა. სწორედ ამ პრინციპებიდან ერთ-ერთის დარღვევაც კი შეიძლება გახდეს წინაპირობა სესხების არდაბრუნების ან მათი გაპრობლემებისა.

2010-2011 წლებში ქართულ ბანკებში თავმოყრილმა დიდი რაოდენობით უცხოურმა ინვესტიციებმა და იმ პერიოდისთვის საკმაოდ ანუულმა, მათზე გადასახდელმა სარგებლის განაკვეთმა (6-9% წლიური საპროცენტო განაკვეთი), საბანკო სისტემის ზოგიერთი რგოლი იძულებული გახადა, გაეცათ შედარებით მაღალი რისკის მატარებელი სესხები. იმის გამო, რომ დროულად მოქმდინათ ინვესტიციების დაბანდება, ბანკებმა დაუშვეს არაერთი, თავისი მნიშვნელობით მეტად სერიოზული შეცდომა კორპორაციულ მართვასთან და რისკების მეტეჯმენტთან დაკავშირებით:

1. გაიცა კრედიტები არცთუ რეალური მიზნებისთვის.
2. ბანკების მიერ გაიცა სესხები მიზნისთვის არცთუ შესაბამისი დაფარვის ვადებით.
3. არაკვალიფიციური მიდგომა კლიენტის ბიზნესის მიმართ, ანუ მისი კრედიტუნარიანობის არაადეკვატური შეფასება.

1 2011 წლიური ანგარიში. საქართველოს ეროვნული ბანკი. გვ. 60.
www.nbg.ge

4. ბანკების მიერ არასაკმარისი ან შეუსაბამო უზრუნველყოფის ქვეშ ან უკვე მრავალჯერადად დატვირთული იპოთეკის ქვეშ გაცემული სესხები.

მიმდინარე პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. თუმცა, იმისათვის რომ სტაბილურობა შენარჩუნდეს ქართულ საბანკო ბაზარზე და პრობლემურმა საკრედიტო პორტფელმა ვერ შეძლოს მნიშვნელოვანი წევატიური ზეგავლენის მოხდენა, საჭიროა კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს და საბანკო ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან.